

**თამაზ გაპისონია
(საქართველო)**

შურდონის სემიოტიკური განერაციული განვითარების თრადიციულ მუსიკაში

შეიძლება ითქვას, რომ ბურდონი ისეთი ერთ-ერთი (თუ არა ერთადერთი) მოვლენაა, რომელიც, თავისი მინიმალიზმით, უმეტესი ეთნომუსიკალური კულტურის საერთო ნიშნად აღიქმება. თუ ეთნიკური მუსიკის მთავარ სიმბოლოდ ვინმე ბურდონს დასახელებს, არგუმენტირებული პროტესტი მასთან ნამდვილად გაჭირდება.

რა შეგვიძლია შევმატოთ ბურდონის შესახებ საუკუნის განმავლობაში გამოთქმულ მოსაზრებებს? ყველა შემთხვევაში ჩვენი მოხსენება კომპილაციად გამოჩნდება, თუნდაც არამიზანმომართულად. იმედია, ჩვენი ესახ, რომელიც მხოლოდ ანალიზის სტადიაზე განსჯას გულისხმობს, ინტენციის წასახლისებლად მაინც ივარგებს.

ვეცდებით, ბურდონი განვიხილოთ სემიოტიკის სამი ასპექტის მიხედვით, რომელსაც მეცუშევსკის მიერ დახასიათებული ნიშნებიც ეხმიანება (Медушевский, 1976: 29–38). გამოვყოფთ ბურდონის სხვა, ჩვენი აზრით, პრინციპულ თავისებურებებსაც.

ბურდონის სემანტიკა

ბურდონი, შეიძლება ითქვას, არქეტიპია, რომელსაც მრავალნახავოვანი მნიშვნელობები გააჩნია.

ცნება „ბურდონი“ ფრანგულად *ზუზუნს*¹ ნიშნავს ისევე, როგორც ინგლისურად – drone – ძველგერმანულიდან – *ზუზუნს* და გუგუნს. მსგავსი ეტიმოლოგია საკრავის მიერ ხმოვანების გაგრძელების შეუზღუდავ თვისებას ეფუძნება. ამასთან, ამ სახელებში იმანენტური თვისება – ბეგრის განგრძობაც ჩანს. თავისი წარმოშობით, ბურდონი, ცხადია, ნიშანი-ხატია, მეტაფორაა, ისევე, როგორც „ოსტინატო“. მაგრამ, ცხადია, ბურდონის კონცეპტი არ არის ერთიარუსიანი და ერთმნიშვნელობიანი. გარდა გაბმული ბეგრისა, გამოხატვის პლანში იგი ალნიშნავს ფონს, საყრდენ ტონს, რეზიტაციას. შინაარსის პლანში იგი შეიძლება მიგვანიშნებდეს ერთიანობაზე, სტაბილურობაზე, ტრანსცენდენტულ საწყისზე...

ბურდონს გააჩნია გარკვეული კონტაციური მნიშვნელობებიც, რომელიც, შესაძლებელია, თავად ადრესატმა მიანიჭოს მას. მაგალითად, „მინა“, „საყრდენი“, „ზეცა“ (ზედა რეგისტრში).

ბურდონი, როგორც ტონიკულური ბეგრის აღმნიშვნელი, ერთი მხრივ, ხოლო როგორც სიმშვიდისა და სიმყარის აღმნიშვნელი – მეორე მხრივ, ერთგვარი „სახლის“, „ბინის“ სიმბოლოდაც შეიძლება აღვიქვათ. ამიტომ არაა გამორიცხული, მასში ერთგვარი ნოსტალგიური მნიშვნელობაც მოვიაზროთ. საინტერესო იქნებოდა ამ მხრივ იმ ფილმთა საუნდტრეკების განხილვა, სადაც ნოსტალგიის თემაა ასახული.

შეიძლება ითქვას, რომ ბურდონი, გარკვეული აზრით, ნიშნავს ყოველდღიურობას, თვით სიჩუმესაც. სიჩუმეც ფონია, სიჩუმეც ერთგვაროვანია... ამავე დროს, ჩვენ სიჩუმედ აღვიქვამთ გარკვეულ ხმოვანების კომპლექსაც, რომელსაც შეჩვეული ვართ,

როგორც ყოველდღიურ, საჭირო ფონს (ჟორდანია, 2008: 36). ამ მხრივ, საინტერესოა ბურდონის შვედური ინტერპრეტაციაც – თვლემა.

ბურდონულ ბანში, კომუნიკაციის ქრილში, თავად შემსრულებელთა შორის, ზოგ-ჯერ იგულისხმება სხვა კონტაციაც – ესაა „ნაკლებუნარიანი შემსრულებლები“.

ბურდონი – კონტინუუმი თუ კონსტანტა?

რა სუბსტანცია საზღვრავს ბურდონს, როგორც ფორმას – კონტინუუმი თუ ბგერათსიმალლებრივი კონსტანტა? კონტინუუმის იმანენტური თავისებურებაა ერთი ბგერის განვრცობა. იგი ბურდონის აბსოლუტური განსხეულებაა; და მისი მხოლოდ მეორე რიგის მოვლენაა ბურდონის დისკრეტულად, „კორპუსკულარულად“ გატარება. ხოლო ბგერათსიმალლებრივი კონსტანტას მთავარი ნიშანია „უცვლელობა, რომელიც, გარდა გაბმული ჟღერადობისა, შესაძლოა, გამოიხატოს რეჩიტაციით, თუნდაც სიმის გამოკვრით ან ზარის რეკვით, ან, როგორც მინიმუმი – შამანის დაირაზე რეგულარული დარტყმით.

ადასანიშნავია ისიც, რომ განმეორებადობა, რომელიც არსობრივად უცხოა ბურდონი-კონტინუუმის იდეისათვის, შედარებით ერგება უცვლელობის, ანუ კონსტანტის იდეას. ამის გამო ოსტინატო შეიძლება გაიგებოდეს, როგორც ბურდონის ერთგვარი რეინკარნაცია. გავიხსენოთ ასაფივი, რომელიც „კანტუს ფირმუს“ ბურდონის გამოვლენად უფრო თვლის, ვიდრე ოსტინატოსი. მისი მიზანი, მკვლევრის თქმით, „პოლიფონიური ქსოვილის გაერთიანება, შეკვრა და მხარდაჭერაა“ (ასაფევ, 1971: 74).

კონსტანტასადმი დაპირისპირებული კონტინუუმის საუკეთესო მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ტაივანური „პასიბუტბუტის“ ტრადიცია. არის თუ არა ეს ცვალება-დი ხმოვანების ჟღერადობა ბურდონი? ცხადა, არის (აუდიომაგ. 1) !

კონსტანტურობა ბურდონის შემთხვევითი თავისებურებაა, ხოლო კონტინუალობა – სუსტანციური. ამიტომ, შეიძლება ითქვას, კონტინუუმი ბურდონის არსიცაა, მეთოდიც და ფორმაც, მაშინ, როდესაც კონსტანტა მხოლოდ მეთოდი და ფორმაა. ამიტომ, რეჩიტაციული ბურდონი კონტინუალურთან მიმართებაში როგორც ქრონოლოგიურად, ასევე ფენომენოლოგიურად, მეორადად უნდა მივიჩნიოთ.

ბურდონი – ქრონოტოპის ხატი

ორლოვის ხატოვანი თქმით, დრო მუსიკის სულია, ხოლო ბგერითი ფენომენი - მუსიკის სხეული (Օრლოვ, 1972: 359). დავამატებდით: ამ ორი განზომილების გადაკვეთის წერტილი ბურდონია. მას ქრონოტოპის ყველაზე მინიმალურ და ამგვარად, ადეკვატურ გამოხატულებად მივიჩნევდით.

მართლაც, ბურდონი არივე ზემოაღნიშნული კოორდინატი მინიმიზებულია შემდეგი ორი ტენდენციით: 1) რიტმის, როგორც დროის უშუალო ერთეულის ნიველირებით; 2) მელოდიური მოძრაობის, როგორც, ზოგადად, მოძრაობის ნიველირებით. სწორედ ამ ორი ფაქტორის პირობებში შეგვიძლია რაღაც მომენტში შევიგრძნოთ „ზღვარი ტრანსცენდენტულ უდროობასთან“ (Օრლოვ, 1992: 66).

დროის ფაქტორთან აქტიური მიმართება აქვს კილოურ მიზიდულობას. ამ მხრივ, ბურდონული მრავალხმიანობა მოდალური მრავალხმიანობის ანტიპოდად შეიძლება მივიჩნიოთ, გამომდინარე მოდალური ესთეტიკიდან, რომელიც ტონიკალური ბგერის, როგორც მიზიდულობის სიმულტანური ცენტრის აღქმას ეწინააღმდეგება. ბურდონის ცენტრი კი გარკვეულ დროით კოორდინატს ქმნის მუსიკალურ ქსოვილში, რომლის

ერთ-ერთი რეგლამენტი, ზოგადრელიგიური ქსთეტიკით, ზედროულობის ასოციაციით ტრანსცენდენტულის ასახვა.

მუსიკისთვის ასე სისხლხორცეული დროითი კოორდინაციი, შეიძლება ითქვას, ბურდონ-კონსტანტაში უფრო აქტუალურია, ვიდრე ბურდონ-კონტინუუმში, რადგან პირველი თავში, ან პარალელურ სივრცეში მოძრაობის მიხედვით აითვლება, ხოლო მეორეს ამგვარი დროითი ერთეული არ გააჩნია. შეიძლება ითქვას, რომ კონსტრანტა „უძრავია მოძრავში“ (ბურდონული ხმა მრავალხმიან ფაქტურაში), ხოლო კონტრანტუუმი - „მოძრავი უძრავში“ (ბურდონის ცალკეული ბგერების ჯაჭვად აღქმა).

ორლოვისა აზრით, მუსიკალური ბგერა დროის ყველაზე სუჟთა და სრული მანიფესტაციაა. დროში იგი მოძრაობს და განისვენებს კიდეც „როგორც ჩინური ჭურჭელი, მუდმივად მოძრავი თავის უძრაობაში“ (Օრლოვ, 1992: 395). აქ, ცხადია, „ბგერაში“ სწორედ ბურდონი იგულისხმება (აუდიომაგ. 2).

ბურდონის საზღვრები

როგორც აღვნიშნეთ, ბურდონის არსობრივ თვისებად უნდა ჩაითვალოს კონტრანტუალობა, ხოლო საკუთარ თვისებად – კონსტანტურობა. მაგრამ განგრძობითობა და წყვეტილობა მხოლოდ ფორმალურ სივრცეშია კონტექსტის გარეშე. გვაინტერესებს რა არსობრივი (და არა კლებითი, მეორადი) სიდიდით, ვსვამთ კითხვას: რა სემანტიკის მატარებელია მუსიკაში კონტინუუმი? როგორც ბინალური ოპოზიტი აქ მას მოძრაობა უპირისირდება, რომელიც მელოდიითა გამოხატული. ხოლო ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ბურდონულად შეგვიძლია ვიგულისხმოთ განგრძობადი ინტონირება, რომელშიც არ შეინიშნება მელოდიური სვლა, ვიწრო გაგებით – მუსიკალურ აზრი.

ლომაქინი მიჩნევს, რომ ბურდონი არ იყარგება იმ შემთხვევებშიც, თუ გაბმული ტონი გადანაცვლდება სხვა საფეხურზე (Lomax, 2009: 67). ჩვენ დავძენთ: მაგრამ მან არ უნდა მიიცყროს ყურადღება, როგორც მელოდიურმა მოტივმა.

სწორედ ამიტომ, ფართო გაგებით ბურდონი თანხლება, ხოლო ბურდონული ორგმიანობა რეალური ფუნქციონალური, ანუ ფუნქციაგანსხვავებული მრავალხმიანობის ერთგვარ მინიმალურ ნიშან-ხატად შეიძლება აღვიქვათ. თავად ბურდონული ხმა კი მუსიკალური ქსოვილის მთავარი კონტურებიდან (Назайкинский, 1972: 119) ერთ-ერთის – ბანის ასევე მინიმალური, ანუ ლაკონური ნიშანი-ხატად.

ბურდონის სინტაქტიკა

რადგანაც ბურდონის მთავარ მახასიათებლად კონტინუალობა მივიჩნიეთ, ცალკე აღებული გაბმული ბგერაც ბურდონად ვიგულისხმეთ. ამ მოცემულობით, ბურდონი შეიძლება განსხეულდეს 1) ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, 2) რეჩიტაციულად ან კონტინუალურად, 3) საკრავირად ან ვოკალურად, 4) კონტრასტული ფუნქციით (სხვა ხმებთან) ან ერთფუნქციურად 5) სტატიკურად და დინამიურად. ეს ხეთი განზომილების წყვილები მხოლოდ ერთი ხმის პარტიაში მოიაზრებიან, როგორც ბინალური ოპოზიტები. ამავე პირობით, შესაძლოა, ეს წევრები ერთმანეთთან სხვადასხვა კომბინაციით შეეავშირდნენ: ინდივიდუალური კონტრასტული ბურდონი – „პომერ“ (აუდიომაგ. 3), საკრავერი სოლო ბურდონი – „დიკერიდუ“ (აუდიომაგ. 4), კოლექტიური ცალხმიანი რეჩიტაციული ბურდონი – ბუდისტური ფსალმიდია (ჰეტეროფონიის ელემენტებით) (აუდიომაგ. 5), ტოტალური გუნდური ბურდონი – „პასიბუტუტი“, კონტრასტული კონტინუალური ბურდონი – „ჩაკრულო“ (აუდიომაგ. 6) და ა.შ.

მართლაც, ბურდონის ერთზე მეტი ხმის პარტიაში განსხვაულება მეტად იშვიათია, განსაკუთრებით – სხვადასხვა ზემოჩამოთვლილი ფორმით. ერთი პერფორმანსისას ბურდონის იდეის განსხვავებული მოწოდება არაბუნებრივია.

ამიტომ გავრცელებული ცნება „ბურდონული მრავალხმიანობა“ ნიშნავს არა არსობრივად ბურდონულ ხმათასულს (ასეთი მხოლოდ ბურდონის შემოქმედებითი პრინციპის პრიორიტეტით აღნიშნული მუზიკირება შეიძლება იყოს, მაგალითად – იგივე პასიბუტ-ბუტი), არამედ სახასიათო ნიშნის, კერძოდ, ბურდონის შემცველ მრავალხმიანობას. ასე რომ ტერმინი „ბურდონული მრავალხმიანობა“ (მსგავსად თავად „ბურდონისა“) არაა რეალური (არსიდან გამომდინარე) და არც ადეკვატური (დეფინიციისა და დეფიდენტის მოცულობების შეფარდების მხრივ). მაშ რატომ დამკვიდრდა იგი? როგორც ჩანს, ეკონომიკურობის გამო. მელოდიის მრავალსახოვნების ფონზე ბურდონი ერთადერთი არამელოდიური ხმაა და, შესაბამისად, მკაფიო პრედიკატი.

ბურდონი – ფონი

ასაფიეროს სიტყვებით, „ზრუნვა, თუ როგორ გაგრძელდეს, გაინელოს ინტონირებადი ქსოვლი, ყოველთვის და გარდაუვალად ჩაექსოვება ზრუნვას, თუ როგორ მოხდეს ამ ქსოვილის ისეთი ცემენტირება, რომ მეხსიერებაში გაბუნდოვნებულ ტონთა არქიტექტონიკის ალქმაში მოგვეხმაროს. სხვაგვარად რომ ვთქვათ: ხმათასვლა და პედალი“ (Асафьев, 1987: 88). აქ მეცნიერი ბურდონზე, როგორც გეშტალტის (ხმათასვლის) ფონზე ამახვილებს ყურადღებას.

გოლიცინის დადასტურებით, სტიმულისადმი ყურადღების შენარჩუნების უმარტივეს ხერხი ობიექტისათვის კონტრასტული ფონის შეხამებაა. ეს ყურადღებას საშუალებას აძლევს დროდადრო ფონზე გადაინაცვლოს და შემდეგ კვლავ დაუბრუნდეს ობიექტს (Голицын, 1980: 59). ეს მექანიზმი საესებით ესადაგება ბურდონული ბანის, როგორც ფონისა და ზედა წამყვანი ხმის, როგორც გეშტალტის ურთიერთობას.

იშვიათად, მაგრამ ბურდონი შეიძლება იქცეს გეშტალტადაც – გამოირჩეოდეს მძლავრი ფუნქციონალური ინიციატივით, ხოლო მოძრავი ხმები, პირიქით, მეორეხარისხოვანი იყოს.

ბურდონის კიდევ ერთი ფუნქცია მელოდიური ხმებისადმი ჰარმონიული კომპონენტის მინიჭება – როგორც ფრაზის კილოური საყრდენის, ასევე ცალკეული კონკორდის ფუძე-ბგერის როლში. ზოგადად, ბურდონის კილოური საყრდენი, ტონიკალური ორიენტირით, ზედა ხმებში იმპროვიზაციისთვის ერთგვარ „სასათბურე პირობებს“ ქმნის.

ბურდონის პრაგმატიკა

ცხადია, ბურდონის ფუნქციონალურ მნიშვნელობას თავად ამა თუ იმ ბურდონული კულტურის მქონე ხალხი ანიჭებს ხარისხს. მაგალითად, თუ ბერძნები თვლიან, რომ საკმაოდ მოძრავი ისონის შემცველი ბიზანტიური საგალობელი ერთხმიანია, ქართველები საფეხურისუცვლელი ბურდონის შემცველ „მეტივურს“ ორხმიან სიმღერად თვლიან.

აქტუალური დროითი კოორდინატი ბურდონის სუბიექტური ალქმისას საკმაოდ მკაფიო ასოციაციებს ბადებს, რაც განსაკუთრებით ნაყოფიერად გამოიყენება მედიტაციურ რელიგიურ კულტურებში. იგი აქ საჭიროა ფონად იმპროვიზაციისთვის – ჰარმონიკა ყავალისათვის, ტამპურის თერაგა რაგასთვის, რეჩიტაცია ბუდისტურ ფსალ-

მოდიაში. თვით ბიზანტიური იზოკრატემა, თავისი ტონიკულური მუხტით, მოდალური წყობაში უცხო სხეულადაა ჩაქსოვილი, მაგრამ მაინც ძლებს ამ დიალექტიკურ გარე-მოში.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული რელიგიური სივრცეები, უმეტესად, მონოდიურ კულტურებს თანხვდება. ქრისტ საგალიბელში ბურდონი გაცილებით ნაკლებად აქტუალურია, ვიდრე ქართულ ხალხურ სიმღერაში.

რელიგიური მუსიკის კუთხით აღვნიშნავდით ბურდონის კიდევ ერთ განზომი-ლებას – მის ინტრავერტულ ვექტორს, მოძრავი ხმის ექსტრავერტულობის საპირი-სპიროდ, რომელიც უმეტესად დაბლაა მიმართული. ასეთია ბუდისტური მანტრა „აუმ“ (აუდიომაგ. 7), მონლოლური „ჰომეი“.

პარალელურ მეთოდად შეგვიძლია აღვიქვათ რუსული საღვთიმსახურო ბას-პრო-ფუნდოც რომელიც დაიკავნების ასამაღლებლებში გვხვდება. ამგვარი რეჩიტაციაც ხომ ბურდონზეა დამყარებული?

შესაძლოა, გამოიყოს ბურდონის ინტენციონალური და კომუნიკაციური შესრულე-ბა. პირველ შემთხვევაში ბურდონის შემსრულებელი თავად ბურდონის თავისებურე-ბებზე ახდენს ფოკუსირებას, ხოლო მეორე შემთხვევაში, ბურდონის მიმართულება სხვა, გეშტალტი ხმითაა განსაზღვრული.

ბურდონი – მოტივაცია და აფექტი

მუსიკალური ფიგურები ერთგვარი „ემოციურ-აკუსტიკური კოდებია“ (Леви, 1992: 93) და ბურდონი მათ შორის გამოიიჩევა მკაფიო, ეკონომიური სტრუქტურით, რო-მელსაც ერთგვარი ნარატივის კონტექსტი აქვს. გავიხსენოთ ვარგანის (აუდიომაგ. 8), დიკერიდუს ხმოვანება, რომელიც ერთგვარი „ლაპარაკისმაგარი“ ვიბრირების შემც-ველია. ამ ენით სულებს ესაუბრებიან. და მართლაც, ვერბალური მეტყველებიდან მუ-სიკამდე ასვლისას ფეხი უნდა შევდგათ ბურდონის საფეხურზე, რომელიც მუსიკალური ბგერის დაფიქსირების ტოლფასია. ბურდონი უფრო ეპიკაა, ვიდრე ლირიკა. ხშირად ეს ბურდონის მიერ გამოწვეული მთავარი ემოციაა.

ზოგადად კი, ეთნომუსიკალური პრაქტიკიდან გამომდინარე, ბურდონული, გაჭია-ნურებული ბერის თრი ემოციური დატვირთვა გამოიკვეთება: 1) დინამიური, აქტიური (ინტენსიური, მომაპეზრებელი, ენერგიით დამტუხტველი), ზუზუნი, გაჭიანურება: ზურ-ნა, ჭიანური, ბეგფაიფი, ფიდლის ბურდონი, შოპური ბურდონი და ა.შ. 2) სტატიკური, პასიური (დამამშვიდებელი, მედიტაციური, პასიური ფონი): ტამბურა რაგაში, პარმონი-კა ყავალში, „მეტიკურის“ ბურდონი და ა.შ.

რატომ არის ბურდონი ერთ შემთხვევაში გამაღიზიანებელი, ხოლო მეორე შემთხ-ვევაში – დამაწყნარებელი? დინამიური ბურდონი ზედა რეგისტრისაა, ხოლო სტატიკუ-რი – დაბალი. სოხორის თქმით, მაღალი ტონები ითხოვს თავისი გამოცემისთვის მეტ ძალისხმევას, ვიდრე დაბლები, (Coxop, 1986: 34).

ჩვეულ, ბანის ბურდონულ მრავალხმიანობას კი კარგად შეესაბამება მედუშესკის მიერ დახასიათებული „მუსიკს ცნობისა და გაგების... მშვიდა ... მექანიზმი“, რომელ-ზეც „მიმართულია კლარიტული (გამანათებელი, გამგებინებელი, ფორმის სიცხადე, განმეორებები) მუსიკალური ხერხები“ (Медушевский, 1976: 136).

ბურდონული ფონი არა მარტო თავადაა სტატიკის, უკონფლიქტობის აღმნიშვნე-ლი, არამედ თავის გეშტალტის კონფლიქტურობასაც საკმაოდ ანეიტრალებს. შეყოვ-ნებული სეკურდისაგან განსხვავებით, მარტივი შეფარდების ინტერვალებზე აგებული

და ბურდონულ ბანზე დაყრდნობილი ხმოვანება არ შეიცავს აგონალობის ეფექტს (გაბისონია, 2012).

საინტერესოა, რომ ზოგადად ურიტმობას ადამიანი უფრო უარყოფითად აღიქვამს, ვიდრე რიტმულ მუსიკას, რადგან ეს უკანასკნელი სასიამოვნო ინტონაციის განმეორებას ეყრდნობა (Леви, 1992: 95). როგორც ჩანს, „მელოდიის რეგისტრის“ სოლირებული გაბმული ხმა ამ პრინციპის საწინააღმდეგო, დესტრუქციულ რეაქციას იწვევს.

დრამატიზაციის ეფექტს ზოგჯერ „მშვიდი“ ბურდონიც უქმნის გარემოს პარტნორ ხმასთან კონტრასტით, მაგრამ ამგვარი პლასტი, როგორც მხატვრული ამოცანით, ასევე ფსიქოლოგიური პროექციის მექანიზმით, საბოლოოდ დადგებით ემოციას ბადებს. ვიგორტსაკი მიიჩნევს, რომ კათარზისის ფაქტორი ყოველ ნაწარმოებში ძეგს, როგორც „აუცილებელი აფექტური წინააღმდეგობა, რომელიც იწვევს გრძნობათა ურთიერთსაპირისპირო რიგს და სრულდება მათი მოკლე ჩართვით და განადგურებით“ (Выготский, 1986: 267).

ცნობილია, რომ მსმენელი მუსიკას ინტერპრეტირებით აღიქვამს (Костюк, 1986: 14). ამიტომ, ხშირად, უფრო გასაგები არის მუსიკა, რომელიც ბურდონს შეიცავს. ბურდონს დეკოდირება უფრო ადვილია, ვიდრე მელოდიური მოძრაობისა, განსაკუთრებით, ნაკლებად პროგნოზირებადისა. მართლაც, „რაც უფრო ნაკლებია მსმენელის თეზაურული, მით უფრო დიდია სონორული ერთიან-სინკრეტული, გრძნობითი აღქმის როლი“ (Дувиряк, 1986: 106). ხოლო ბურდონი ერთგვარი ბუფერია ჩვენი სმენისათვის უცხო და ძნელად ადაპტირებადი ხმოვანებისათვის ზედა ხმებში.

გავიხსნოთ ასევე საორგანო პუნქტის მიერ ზედა ხმებისადმი „თავისუფალი ქცევის“ ვიზიონება, რომლის დროსაც ამ პედალურ ბგერასთან ზედა ხმების „დისონანსური“ მიმრთება აქტუალურად აღარ გაინცდება.

სამსჯელოდ გამოვიტანდით ბურდონის სხვა ინტერპრეტაციებსაც. მაგალითად, სიმღერის დამასრულებელი უნისონის დიდხანს შენარჩუნება, რომელიც სლავებს ახასიათებს, შესაძლებელია, აიხსნებოდეს, როგორც, ერთი მხრივ, მოძრაობის ინერციის გადალახვის, ასევე, მეორე მხრივ, უსასრულობის დაფიქსირებისადმი მისწრაფება, რომელიც ფრაზის დასრულების ერთოფესტია (აუდიომაგ. 9).

ხშირად ზედა ხმის ვერპალური ტექსტი კონტინუალურ ბურდონულ ბანში გარკვეულ ლატენტურ ასლს სახავს. სწორედ ამ ფსიქო-ფიზიოლოგიური რეალიის გათვალისწინებით შეგვიძლია ვიგულისხმოთ ბიზანტიური ხმოვანზე გამღერებული ისონ-ის მგალობლებში თანალოცვა „ერთითა გულითა და ერთითა გონებითა“.

არის თუ არა ბურდონი ცალკეული ინდივიდის მიერ მელოდიის უნისონურად გაყოლის შეუძლებლობის შედეგად კომპრომისული გადაწყვეტილება? ამგვარი მოტივი მხოლოდ ინდივიდის და არა კოლექტიური აზროვნების დონეზეა სავარაუდო. მუსიკალური ევოლუციის ადრეულ ეპოქაში მელოდიის აყოლა ან ბურდონული ხმით შეხმიანება სოციალური ფუნქციით იქნებოდა განსაზღვრული და არა უნარის მიხედვით.

ბურდონი ქართულ ტრადიციაში

სოლისტთან ბანის შეხმიანება ქართველისთვის, პირველ რიგში, ბურდონს გულისხმობს. თუმცა ეს უკანასკნელი მცირე მოცულობის სუბნიშანია უფრო დიდი მოცულობის ტერმინ „ბანისა“, რომელიც, ზოგადად, თანხლებას აღნიშნავს.

აღსანიშნავია, რომ ტერმინ „ბანს“ ორანე პეტრინის მიერ ნაგულისხმევ სამხმიანობაში სწორედ შემკვრელის, გამმთლიანებლის ფუნქცია ეკისრება (ფირცხალავა, 2002:

115), რაც გვავარაუდებინებს იმჟამინდელ ქართულ ტრადიციაში ბურდონული მრავალხმიანობის არსებობის ფაქტს.

საინტერესოა, რომ ქართულ ტრადიციაში ბურდონს გამორჩეული სახელი არ აქვს. იგი „ბანად“ იწოდება კახეთში, ისევე, როგორც „ბანია“ გურული ტრიოს სოლისტი. თუმცა ზემოაღნიშნული ზუზუნის ქართულ პარალელად, შესაძლებელია, საკრავ ჭანურის სახელნოდება მოვიყვანოთ, რომელიც, შესაძლებელია, ჭრიალის მნიშვნელობისაც იყოს (შეადარეთ – ლაზური ჭილილი). არსებობს გამოთქმა „ნუ აჭიანურებ“ (ნუ აგრძელებ ზედმეტად). აქვე გავიხსენებდით უანრ „ზუზუნს“, რომელიც ასევე რეჩიტაციას უკავშირდება.

სახელი აქვს ოთხმიანი შრომითი „ნადურების“ ბურდონულ ხმას „შემხმობარსაც“. მისი მდებარეობა პრინციპულად ბანის დიაპაზონით არ ინიშნება თვით სამხმიან ნადურებშიც (გავიხსენოთ ბურდონის ქვევით „ჩაყვინთვა“ იმერულ ნადურში), რაც მიუთითებს იმაზე, რომ მისი პირველადი ფუნქცია ფონი არაა. ცხადია, იგი საყდენ, მაორიენტირებელ ტონს აღნიშნავს, მაგრამ უფრო დინამიურია, მოწოდების ხასიათისაა და არა სუფრულის ბანივით სტატიკური (აუდიომაგ. 10). საინტერესოა, რომ შემხმობარი წყდება მაშინ, როდესაც ფრაზა ბოლოვდება და დაზარჩენი სამი ხმა საკადანსოდ ამოძრავდება.

„ზედა ხმაში – სოლისტები, ბანში გუნდი“ – ეს, შეიძლება ითქვას, ქართული სიმღერის მთავარი წესია, რომლის დარღვევის უფლება მხოლოდ ე.ნ. „ტრიოს“ ბანის მომღერალს ეძლევა. მაგრამ რატომ ასრულებენ თუნდაც მელოდიურად განვითარებულ ბანს ქართველი მომღერლები უნისონში? აშკარაა, რომ ეს პრინციპი ოსტინატური და ბურდონული ბანის ძველი ტრადიციიდან მომდინარე ინერციაა.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ ბურდონი ტრადიციული ეთნიკური მუსიკის სივრცეში მუსიკალური სტრუქტურის ერთ-ერთი საბაზისო ელემენტია, რომელიც, მიუხედავად თავისი პრიმიტიულობისა და ერთგვაროვნებისა (ან, შესაძლოა, ამის გამოც), პოლისემიურ და მრავალიარუსიან კონცეპტად გვევლინება.

შენიშვნა

¹ <http://www.britannica.com/art/drone-music>

გამოყენებული ლიტერატურა

გაბისონია, თამაზ. (2012). „ქრისტიანული კვალი სვანურ ჰიმნურ სიმღერებში“. მოხსენება წაკითხული ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიურ კონფერენციაზე: არქაული ელემენტები საქართველოს მთას ეთნოკულტურაში. მზადდება გამოსაცემად

უორდანია, იოსებ. (2008). „მუსიკა და ემოცია: ღილინი ადამიანური ისტორიის სათავეებში“. კრებულში: ტრადიციული მრავალხმიანობის IV საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოხსენებები. გვ. 31–40. რედაქტორები: წურწუმია, რუსუდან და უორდანია, იოსებ. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კუნძულობრივი ინსტიტუტის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი

ფირცხალავა, ნინო. (2002). „პეტრინის ფილოსოფია და ქართული მრავალხმიანობა“. კრებულში:

ტრადიციული მრავალხმიანობის / საერთაშორისო სიმპოზიუმი. მოხსენებები. გვ. 109–118. რედაქტორები: ნურნუმა, რუსუდან და უორდანია, ოოსებ. თბილისი: თბილისის სახელმწიფო კონსაკრატორის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი

Асафьев, Борис. (1987). О народной музыке. Ленинград: Музыка

Асафьев, Борис. (1971). Музикальная форма как процесс. Изд. 2-е. М.: Музыка, Ленинградское отделение

Выготский, Лев. (1986). Психология искусства. Издание третье. Москва: Искусство.

Голицын, Георгий. (1980). "Информация и законы эстетического восприятия". В сборнике: Число и мысль. Вып. 3. Москва: Знание

Дувирак, Д. А. (1986). О сонорных аспектах музыкального восприятия. კრებული: Музыкальное Восприятие, как предмет комплексного исследования. Составитель А.Г. Костюк. Киев: Музична Украина

Костюк, А. Г. (1986). "О теории музыкального восприятия". კრებული: Музыкальное Восприятие, как предмет комплексного исследования. Составитель А.Г. Костюк. Киев: Музична Украина

Леви, Владимир. (1992). Вопросы психобиологии музыки. *Музыкальная психология: хрестоматия. Москва*

Медушевский, Вячеслав. (1976). О закономерностях и средствах художественного воздействия музыки. Москва: Музыка

Назайкинский, Евгений. (1972). О психологии музыкального восприятия. Москва: Музыка

Орлов, Генрих. (1972). "Время и пространство Музыки". კრებული: Проблемы музыкальной науки. Вып. I: 358–394. Москва: Музыка

Орлов, Генрих. (1992). Древо музыки. Санкт-Петербург: Советский композитор

Сохор, Арнольд. (1986). "Музыка, как вид искусства". კრებული: Музыкальное Восприятие, как предмет комплексного исследования. Составитель А.Г. Костюк. Киев: Музична Украина

Lomax, Alan. (2009). *Folk Song Style and Culture*. Transaction Publishers, New Brunswick (U.S.A.) and London (U.K.): Fifthprinting

აუდიომაგალითები

1. ბუნების ხალხის პასიბუტბუტი <https://www.youtube.com/watch?v=X2cYeIr3zCQ>
2. ტიბეტური სფეროთა მუსიკა მომღერალი თასები <https://www.youtube.com/watch?v=Bcka0wrn1ok>
3. მონღოლური ჰომე <https://www.youtube.com/watch?v=A1KzgJAvS8M>
4. ავსტრალიური დიჯერიდუ <https://www.youtube.com/watch?v=VgwsGjRk61M>
5. ტიბეტი. ბუდისტური ფსალმოდია <https://www.youtube.com/watch?v=G4jAQrHPHFw>

6. ქართული ხალხური სიმღერა ჩაქრულო <https://www.youtube.com/watch?v=4sWsuc223uk>
7. ბუდისტური მანტრა აუდ <https://www.youtube.com/watch?v=eW0xSVw2gXc>
8. ხანტი-მანსური ვარგანი თუმრანი <https://www.youtube.com/watch?v=PDqC42oR9oo>
9. უკრაინული სიმღერა *Ой, давно-давно* <https://www.youtube.com/watch?v=wAfBO9vMwt4>
10. ქართული ნადური სიმღერა ჯიქურაი <https://www.youtube.com/watch?v=AeCyyRg0vb0>

TAMAZ GABISONIA
(GEORGIA)

SEMIOTIC DIMENSIONS OF DRONE IN TRADITIONAL MUSIC

It can be said that drone is one of the phenomena (if not the only one) which for the most part is regarded as the common feature of traditional musical culture. If anyone refers to drone as the chief symbol of ethnic music, it will be hard to raise a well-reasoned objection.

What can we add to the viewpoints expressed about drone during this century? In any case our paper will seem like a compilation, even if non-purposeful. Hopefully our essay, which implies discussion on the stage of analysis, will be useful at least to encourage the intention.

We will do our best to regard drone according to three aspects of semiotics, also echoed by the features characterized by Medushevsky (Medushevsky, 1976: 29-38). We will also distinguish other, in our opinion, important peculiarities.

Semantics of Drone

Drone can be regarded as the archetype with polyhedral meanings.

The word drone means buzzing in French¹, as well as drone from the old German – humming or buzzing. Similar etymology is based on the continuous sound of an instrument. These names also show an immanent feature- sustaining a sound. Originally “drone” was a sign-symbol, a metaphor like “ostinato”. But the concept of drone does not have a single meaning. Apart from a sustained note, it also denotes background, support tone, recitation. From the standpoint of content, it may indicate unity, stability, transcendental impulse.

Drone also has certain connotational meanings, which can be attributed by the addressee, e.g. “ground”, “support”, “sky” (in the upper register).

Drone as denoting the central sound (tonic) on the one hand, and calmness and steadiness on the other hand, can also be perceived as the symbol of “house”, “room”. This is why it can also imply a kind of nostalgic meaning. From this standpoint it would be interesting to discuss the soundtracks of films with a nostalgic plot.

It can be said that in a certain context drone denotes a daily occurrence, even silence. Silence is also a background, it is also homogenous..... At the same time we perceive a certain sound as a silence, which we are used to as a daily, necessary background (Jordania, 2008: 36). From this viewpoint the Swedish interpretation of drone is interesting – drowse.

Static drone, from the standpoint of communication, has another connotation among performers – as a part for “less skillful performers”.

Drone – Continuum or Constant?

Which substance determines drone, as form – continuum or sound pitch constant? The immanent peculiarity of continuum is expansion of a sound. It is an absolute embodiment of drone; and its secondary occurrence is a discrete, corporcular sound stretch. The basic feature of sound pitch constant is invariability, which alongside a stretched sound, can also be expressed by recitation,

even by strumming a string or ringing a bell, or at least by regular beating on a shaman's tambourine.

It is also noteworthy that repetition, which essentially contrasts with the idea of drone-continuum, more fits the idea of invariability or constant. For this reason ostinato can be understood as a kind of drone reincarnation. Let us remember Asafiev, who considers "cantus firmus" an occurrence of drone more than of ostinato. As he says "cantus firmus" aims to "unite polyphonic tissue, tie and support it" (Asafiev, 1971: 74).

The best example of constant opposed continuum is the Taiwanese "Pasibutbut" tradition. Is this variable sound drone? Indeed, it is! (audio ex. 1)

Constant nature is the accidental peculiarity of drone, but continuity is a substantial characteristic. This is why it can be said that continuum is the essence, method and form of drone, while constant is only method and form. This is why in relation to continued (pedal drone) recitative drone should be considered as secondary both from chronological and phenomenological standpoints.

Drone – Image of Chronotope

As Orlov figuratively says, time is the soul of music, and the sound is the body of music (Orlov, 1972: 359). We would add: drone is the intersection of these two dimensions. We would consider it as the most minimal and thus adequate expression of chronotope.

Indeed, these two afore-mentioned coordinates are minimized in drone according to two tendencies: 1) of rhythm, by directly leveling the time unit; 2) by leveling melodic movement as movement in general; under the conditions of these two factors we can at some point feel "the border with transcendent timelessness" (Orlov, 1992: 66)

Modal gravitation is directly connected with the time factor. From this viewpoint drone polyphony can be considered as an antipode of modal polyphony- proceeding from modal aesthetics, which contradicts the perception of tonal sound as a simultaneous centre of gravitation. Such a centre creates a coordinate in musical tissue, one regulation of which is the reflection of transcendental by general aesthetics, association of timelessness.

It can be said that for music such an essential time coordinate is more actual in drone – constant than in drone-continuum, as the former is counted in itself or by movement in parallel space, the latter has no such time unit. It can be said that constant is "immovable in mobile" (drone in polyphonic texture), and constant is "mobile in immovable" (perception of drone as a chain of separate sounds).

In Orlov's opinion musical sound is the clearest and most complete manifestation. In time it moves and even rests, "as a Chinese vessel, constantly moving in its immobility" (Orlov, 1992: 395). Here, certainly, under the "sound" the author means "drone" (audio ex. 2).

Boundaries of Drone

Proceeding from the above discussion continuity should be considered as an essential characteristic of drone, and constant nature as its own characteristic. But continuity and discontinuity exist only in formal space without context; and we ask the question: what are the semantics of continuum in music? As a binary opposite it is contradicted by movement, expressed by melody, proceeding from this continued intoning, without melodic movement, musical idea – in narrow understanding can be considered as drone.

Lomax considers that drone does not get lost in a situation where the stretched tone is dis-

placed to another step (Lomax, 2009: 67). We would like to add: but it should not attract attention as a melodic motive.

This is why, in a broader sense, drone is an accompaniment, but drone two-part singing can be understood as a sort of minimal image of real functional polyphony or that with a different function. Drone itself is a minimal or laconic image of bass – one of the chief contours of musical tissue (Nazaikinsky, 1972: 119).

Drone Syntax

Since we consider continuity as the chief characteristic of drone, we also considered an individual stretched sound as drone. Proceeding from this, drone can be embodied 1) individually or collectively, 2) recitatively or continually, 3) instrumentally or vocally, 4) with contrast function (from other voice parts) or with a single function, 5) statically and dynamically. These pairs of five dimensions are regarded within one voice part, as binary opposites. In the same way, they can make different combinations: individual contrast drone – *homey* (audio ex. 3), instrumental solo drone – *didgeridoo* (audio ex. 4), collective single-part drone – Tibetan psalmody (audio ex. 5) total choral drone – *Pasibutbut*, contrast continual drone – *Chakrulo* (audio ex. 6), etc.

Indeed, the embodiment of drone in more than one voice part is a very rare occurrence, particularly in any of the afore-mentioned forms. A different presentation of the drone idea in one performance is not natural.

This is why the disseminated notion “drone polyphony” denotes not essentially a drone vocal movement (such can only be the music playing imprinted with the priority of drone creativity, for instance “*Pasibutbut*”), but polyphony with drone. Thus the term “drone polyphony” (similar to “drone” itself) does not proceed from real essence, nor is inadequate. So how did it happen to be inculcated? Evidently, for thrift reason, on the background of melodic diversity, drone is the only non-melodically active part and represents a relatively stable predicate.

Drone – Background

In Asafiev’s words “the strive to prolong the musical material is intrinsically connected to the strive to help us perceive the architectonics of the blurred tones in memory, in other words: melodic movement and pedal” (Asafiev, 1987: 88). Here the scholar particularly focuses on drone as the stable background of gestalt.

Gollitzin states that the simplest way to focus attention on stimulus is to match a contrasting background to the object. This allows the attention to move to the background sometimes and return to the object again (Golitzin, 1980: 59). This mechanism can be completely applied to the relation between the bass drone, as a background, and the upper leading voice, as gestalt.

Rarely, drone turn into gestalt – it can be distinguished by a powerful functional initiative, leaving the melodically active voices a secondary role.

Another function of drone is attaching a harmonic component to a melodic voice – as to the modal support of the phrase. In general, modal support, with a tonical (tonal?) reference-point, creates a green-house effect for the improvisation of the upper voices.

Drone Pragmatics

Indeed, people with a drone culture determine the degree of the functional meaning of drone. For instance Greeks consider that the Byzantine chant with ison is a single-part tradition, but Geor-

gians consider “Metivuri” (East Georgian song with a pedal drone on the unchanged tone throughout the song) as a two-part song.

In the subjective perception of drone’s actual time coordinate there arise evident associations, most fruitfully used in meditative religious cultures. Here it is necessary as the background for improvisation: harmonica for qawal, tanpura for the raga, recitation in Buddhist psalmody. The Byzantine isokratema itself, with its tonical charge, is knitted as a foreign body into the modal scale, but it survives in this dialectic environment.

It is noteworthy that the above-mentioned religious spaces are mostly encountered in monadic cultures. In Georgian chant the drone is less important than in Georgian folk song.

From the standpoint of religious music we would like to mention another dimension of drone – its introvert vector, in contrast to the extravert mobile voice, mostly directed downward. The Buddhist mantra “Aum”, or the Mongolian “Hoomei” are the examples (audio ex. 7).

The Russian liturgical basso profundo can also be regarded as a parallel method. Such recitation is also based on drone.

We can distinguish between the intentional and communication performance of drone. In the first case the drone performer focuses on the peculiarities of the drone, in the second case the direction of the drone is determined by another *gestalt* voice.

Drone – Motivation and Affect

Musical figures are types of “emotional-acoustic codes” (Levi, 1992: 93) and among them the drone is distinguished in a distinct, economic structure, with a certain narrative context. Let us remember the vargan (audio ex. 8) and didgeridoo, containing “speech-like” vibration. This language is used for speaking with spirits. When ascending from speech to music we usually “step” on a same pitch repetition, drone, which equals to the documentation of musical sound itself. Drone is more epic than lyrics. This is the chief emotion caused by drone.

In general, according to the ethnomusicological practice, there are two qualities in the drone (stretched) sound: 1) dynamic, active (intensive, even annoying, charged with energy) – buzzing, prolonged – *zurna*, *chianuri*, bagpipe, fiddle drone, drone from Shop region in Bulgaria, etc 2) Static and passive (calming, meditational, passive background) – tambourine in raga, harmonica in qawwali, drone in the song “*Metivuri*”, etc.

Why the drone produces anxiety in some cases, and relaxes in the others? Dynamic drone is mostly in the upper register, the static one in the low register. According to Sokhor, more effort is needed to produce high tones than low ones. They are regarded as expressing more emotional tension (Sokhor, 1986: 34).

Habitual drone polyphony corresponds well “....tranquil mechanism of music recognition and understanding” defined by Medushevsky (Medushevsky, 1976: 136)

Drone background does not only denote statics, conflict-freedom, but also neutralizes its conflict gestalt. Sound, constructed on simple intervals and based on a bass drone does not have agonial (competition) effect (Gabisonia, 2012).

It is interesting that the absence of rhythm is perceived more negatively than rhythmic music by man, because the latter is based on the repetition of a more pleasant intonation (Levi, 1992: 95). Obviously, the solo stretched voice of “melody register” provokes opposite, destructive reaction.

Sometimes a “calm” drone also creates the environment for the effect of dramatization – via the contrast with the partner voice, but a similar layer causes positive emotion both as artistic goal

and the mechanism of psychological projection. Vigotsky considers that the factor of catharsis is present in every piece, as “essential affective resistance”, which causes opposite sensations followed by their brief inclusion and annihilation” (Vigotsky: 1986: 267).

It is known that the listener perceives music and interprets it (Kostiuk, 1986: 14). This is why music with a drone is often more understandable. It is easier to decode drone than melodic movement, particularly a less predictable one. Indeed, “the lesser is the listener’s thesaurus, the bigger is the role of sonorous, common-syncretic perception” (Duvirac, 1986: 106). And drone is a kind of buffer to our ear against strange and hardly-adaptable notes in the upper voices.

We would also discuss other interpretations of drone, for instance the maintenance of unison at the end of a song, characteristic of the Slavs, can be explained as overcoming the inertia of movement on the one hand and striving for documenting infinity on the other hand, which is a sort of protest against the phrase ending (audio ex. 9).

Frequently, the verbal text of the upper voice represents a certain latent copy in the bass drone. Considering this psycho-physiological reality, it can be implied in the co-prayer “With one heart and one mind” in ison chants sung on the Byzantine syllable.

Is drone a compromise decision resulting from the individual’s inability to follow the melody in unison? Such motivation is supposed on the level of individual, not collective thinking. In the early epoch of musical evolution joining the melody or tuning drone might be determined by social function, not by ability.

Drone in Georgian Tradition

Accompaniment of a solo singer with a bass implies primarily the drone. However the latter is the small sub-sign of a larger capacity term “bass”, denoting accompaniment in general.

It is noteworthy, that in three-part singing implied by Ioane Petritsi the term ”bami” has a combining function (Pirtskhala, 2002: 115), which makes us presume the existence of drone polyphony in the Georgian tradition of the time.

It is interesting that in Georgian tradition drone has no distinguishing name; it is referred to as “*bani*” in Kakheti, the same term which represents a virtuoso low part of a Gurian trio. However the name of the Georgian instrument *chianuri* – which can also have the meaning of “squeak” (compare with Laz *chilili*) can be considered as the parallel to the afore-mentioned buzzing, also connected with recitation.

The pedal drone in four-part work songs *naduri* has the particular name “*shemkhmobari*”. Its location is not marked out by the range of the bass even in three-part *naduri* songs (let us remember the “diving” of the top parts under the drone in Imeretian *naduri*), indicating that background is not its primary function. Indeed it denotes a supportive, axis tone, but is more dynamic – with appealing character and not static as the bass in table songs (audio ex. 10). It is interesting that *shemkhmobari* stops when the phrase ends and the other three parts start moving towards a cadence.

“Upper voice must be sung by soloists, the bass by a choir” – this can be considered as the chief rule of Georgian singing tradition, and only the bass of a western Georgian trio is allowed to violate this rule. By why do Georgian singers perform the melodically developed bass in unison? Apparently, this principle of ostinato and bass drone is inertia coming from old tradition.

Finally it can be said that drone is one of the basic elements of musical structure of traditional music, which despite (or possibly because of) its primitiveness and homogeneity appears to be a poly-semantic and poly-layer concept.

Notes

¹ <http://www.britannica.com/art/drone-music>

References

- Asafyev, Boris. (1971). *Muzikalnaya forma kak protsess (Musical Form as Process)*. 2nd edition. Moscow: Muzika
- Asafyev, Boris. (1987). *O narodnoy Muzike (On Folk Music)*. Leningrad: Muzika
- Duvirak, D. A. (1986). “O sonornikh aspektakh muzikalnogo vospriyatiya” (“On the Sonorous Aspects of Musical Perception”). In: *Muzykalnoe vospriyatiye, kak predmet kompleksnogo issledovaniya (Musical Perception as an Object of Complex Research)*. Comp.: Kostiuk, A. G. Kiev: Muzichna Ukraina (in Russian)
- Golitsin, George. (1980). “Informatsia i zakon iesteticheskogo vospriatia” (“Information on the Laws of Aesthetic Perception”). In: *Chislo i misl (Number and Thought)*. T. 3. Moscow: Znanie (in Russian)
- Jordania, Joseph. (2008). “Music and Emotion: Humming in the Beginning of Human History”. In: *The IV International Symposium on Traditional Polyphony. Proceedings. Pp. 41–49*. Editors: Tsursumia, Rusudan and Jordania, Joseph. Tbilisi: International Research Center for Traditional Polyphony of Tbilisi State Conservatoire
- Kostiuk, A.G. (1986). “O teorii muzikalnogo vospriyatiya” (“On the Theory of Musical Perception”). In: *Muzykalnoe vosprijatie, kak predmet kompleksnogo issledovaniya (Musical Perception as an Object of Complex Research)*. Comp.: Kostiuk, A. G. Kiev: Muzichna Ukraina (in Russian)
- Levi, Vladimir. (1992). *Voprosi psichobiologii muziki (Issue of Music Psychobiology)*. Music Psychology. Moscow (in Russian)
- Lomax, Alan. (2009). *Folk Song Style and Culture*. Transaction Publishers, New Brunswick (U.S.A.) and London (U.K.). Fifth ed
- Medushevsky, Viascheslav. (1976). *O zakonomernostyakh i sredstvakh khudozhestvennogo vozdeistviya muzyki (On the Regularities and Means of the Artistic Influence of Music)*. Moscow: Muzika (in Russian)
- Nazaikinsky, Yevgeny. (1972). *O psichologii muzykalnogo vospriyatiya (On the Psychology of Musical Perception)*. Moscow: Muzika (in Russian)
- Orlov, Genrikh. (1972). “Vremya i prostranstvo muziki” (“Time and Space of Music”). In: *Problemi muzykalnoi nauki (Problems of the Musical Science)*. Vol. I: 358–394. Moskow: Sovetski kompozitor (in Russian)
- Orlov, Genrikh. (1992). *Drevo muziki (The Tree of Music)*. St. Petersburg: Sovetski kompozitor (in Russian)
- Sokhor, Arnold. (1986). “Muzika, kak vid iskusstva” (“Music as a Kind of Art”). In: *Muzykalnoe vospri-*

yatie, kak predmet kompleksnogo issledovaniya (Musical Perception as an Object of Complex Research). Comp.: Kostiuk, A. G. Kiev: Muzichna Ukraina (in Russian)

Vigotsky, L. S. (1986). *Psikhologiya iskusstva (Psychology of Art)*. 3rd edition. Moscow. Iskusstvo

Audio examples

1. *Posibutbut*. Bunun Men's Choir. <https://www.youtube.com/watch?v=X2cYeIr3zCQ>
2. *The Music of the Spheres*. Tibetan Singing Bowls. <https://www.youtube.com/watch?v=Bcka0wrn1ok>
3. Mongolian *Homey*. <https://www.youtube.com/watch?v=A1KzgJAvS8M>
4. Australian *Didgeridoo*. <https://www.youtube.com/watch?v=VgwsGjRk61M>
5. Tibetan and Nepalese Nuns singing. <https://www.youtube.com/watch?v=G4jAQRPHFW>
6. Georgian song *Chakrulo*. <https://www.youtube.com/watch?v=4sWsuc223uk>
7. Tibetan *AUM MANTRA*. <https://www.youtube.com/watch?v=eW0xSVw2gXc>
8. Mansi & Khanty *Tumran* (Vargan). <https://www.youtube.com/watch?v=PDqC42oR9oo>
9. Ukrainian song *Oi, davno, davno, (Oh, long ago)*. <https://www.youtbe.com/watch?v=wAfBO9vMwt4>
10. Georgian *Naduri* song *Jikurai*. <https://www.youtube.com/watch?v=AeCyyRg0vb0>

Translated by *Maia Kachkachishvili*